


# პროფესიონალი

№90

PROFESSIONALI






ბათუმი, ვაჟა-ფშაველას 34

E-mail: [giorgii2004@gmail.com](mailto:giorgii2004@gmail.com)

[www.newdesign.ge](http://www.newdesign.ge)



**NEW  
DESIGN**

**NEW  
DESIGN**

# პროფესიონალი +

**მოდერნიზაცია**

**მოდერნიზაცია**

0102000000 18  
E-mail: gogabregvadze@yahoo.com

professionali+

**შპს-ის მხარში**

**მშენებარე მემკვიდრე**

**საქართველო**

**საქართველო**

საქართველოში მშენებარე მემკვიდრე...

**მოდერნიზაცია**

**მოდერნიზაცია**

0102000000 18  
E-mail: gogabregvadze@yahoo.com

professionali+

**მოდერნიზაცია**

**მოდერნიზაცია**

0102000000 18  
E-mail: gogabregvadze@yahoo.com

professionali+

**მოდერნიზაცია**

**მოდერნიზაცია**

0102000000 18  
E-mail: gogabregvadze@yahoo.com

professionali+

[www.prof-news.com](http://www.prof-news.com)

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგია

ქრინალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ქრინალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

E-mail: [profesional@mail.ru](mailto:profesional@mail.ru)

20.09.19. - 20.10.19

უმორჩილებლად გთხოვთ ჩვენი ქრინალის ნარშომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მონშობა



# საპარლამენტო სიახლეები

პლენარული სხდომა დაიწყო „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტის განხილვით, რომელიც პირველი მოსმენით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ზაზა ბოხუამ წარადგინა. ორგანული კანონის პროექტის თანახმად, გადაუდებელი სასწრაფო დახმარებით უზრუნველყოფა აღარ იქნება თბილისის საკუთარი უფლებამოსილება. გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, რეორგანიზაციის გზით, მიუერთდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს. ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შეერთების შედეგად შეიქმნება ერთი სადისპეტჩერო.

„საგანგებო სიტუაციების და სხვადასხვა შემთხვევების დროს ერთი სადისპეტჩერო იქნება უფრო მოქნილი, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ გაუმჯობესდეს მენეჯმენტის ხარისხი და უფრო დროულად გაუწიოთ დახმარება ჩვენს თანამოქალაქებს“, - განაცხადა ზაზა ბოხუამ.

ორგანული კანონის პროექტს „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ მხარი 86 დეპუტატმა დაუჭირა. კანონპროექტი იხილება დაჩქარებული წესით. პარლამენტის წევრებმა განიხილეს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის გადაშუშავებული ვარიანტი, რომელიც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ წარადგინა. მისი განცხადებით, კანონში ცვლილებები განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით.

„პირველ რიგში ეს გახლავთ განათლების რეფორმა, რომელზეც ჩვენ დამატებითი რესურსის გამოყოფა გვიწევს. აქ, ორ კომპონენტზე ხდება დამატებით თანხის მიმართვა. პირველი კომპონენტი ეს არის 75 მილიონი ლარის გამოყოფა იმ მასწავლებლების ჯილდოს გასაცემად, რომლებმაც თავიანთი სურვილით გამოხატეს თანხმობა სისტემიდან გასვლის შესახებ. შესაბამისად, ამ მასწავლებლებს უნდა აუნაზღაურდეთ 2 წლის ხელფასი. აქედან გამომდინარე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ემატება 75 მილიონი ლარი ამ მიმართულებით. გარდა ამისა, განათლების სისტემაში, უფროსს, წამყვან და მენტორ მასწავლებლებს ეზრდებათ ყოველთვიური დანამატი 150 ლარით და შესაბამისად, წლის ბოლომდე ამ მიმართულებით დამატებით 20 მილიონი ლარი იყო საჭირო“, - აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

გიორგი კაკაურიძის განცხადებით, მეორე მიმართულება, რის გამოც საჭირო გახდა ცვლილებები - ინფრასტრუქტურული პროექტებია.

„ჩვენ, წლის პირველ ნახევარში, შესაბამის უწყებებთან ერთად, იდენტიფიცირება გაუკეთეთ პროექტებს, რომელთა ფარგლებში შესაძლებელია გარკვეული რისკები ყოფილიყო წელს თანხების ათვისებასთან დაკავშირებით. ამავე პერიოდში, ჩვენ იდენტიფიცირება გაუკეთეთ იმ პროექტებსაც, რომლებიც მომდევნო წლის ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული და მათი დაჩქარება და წელს განხორციელება შესაძლებელი იყო. შესაბამისად, ჩვენ, გარკვეულწილად, პროექტების გადაანაცვლება გვაქვს. პროექტების ნაწილი 2109 წლიდან გადადის მომდევნო წლების ბიუჯეტში, ხოლო პროექტების ნაწილი 2020-2021 წლის ბიუჯეტებიდან გადმოდის 2019 წელს. ასეთი პროექტებია, მაგალითად: ქუთაისის შემოვლითი გზის მეორე ზოლის მშენებლობა და კობი - ქვეშეთის მონაკვეთის მშენებლობა, სადაც წელს უფრო მეტი თანხის ათვისება არის შესაძლებელი“, - განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.



ფინანსთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შეცვლილი არ არის და დატოვებულია 4.5%, ასევე შენარჩუნებული დეფიციტის მაჩვენებელი - 2.6%. პროექტის მიხედვით, 2019 წლის შემოსულობების ნაწილი ჯამში იზრდება 92,8 მლნ ლარით და შეადგენს 12 956.5 მლნ ლარს. მათ შორის, შემოსავლების ნაწილია 10 540.4 მლნ ლარი და დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 52.7 მლნ ლარით. სხვა შემოსავლების პროგნოზი იზრდება 45 მლნ ლარით და განისაზღვრება 505.0 მლნ ლარით. გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 390.4 მლნ ლარით (იზრდება 7.7 მლნ ლარით საინვესტიციო პროექტების ნაწილში), ძირითადად ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს (ზჩ) პროგრამის ფარგლებში, რომელიც სრულდება მიმდინარე წელს. არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა, არსებული ფაქტიური მონაცემების გათვალისწინებით იზრდება 10,0 მლნ ლარით და შეადგენს 80.0 მლნ ლარს. ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი არ იცვლება და კვლავ განისაზღვრება 120.0 მლნ ლარის ოდენობით. ვალდებულებებში ხდება ჩანაცვლება - მცირდება საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები 369.9 მლნ ლარით, ხოლო 400.0 მლნ ლარით იზრდება საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვება. რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, სახელმწიფო ბიუჯეტის ასივნები იზრდება 223.1 მლნ ლარით და განისაზღვრება 13 313.1 მლნ ლარით. გიორგი კაკაური-

იქმ პარლამენტის წევრებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია პროექტში წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების შესახებ მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, ასევე სხვადასხვა მასშტაბური საგზაო პროექტებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ. პროექტის წარმოდგენის შემდეგ, გიორგი კაკაურიძემ დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა, რომლებიც შეეხებოდა: საპენსიო სქემას, ინფრასტრუქტურულ პროექტებს, პროექტების ჩანაცვლებას, განათლების რეფორმას, იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ დახმარებას, იურიდიული დახმარების სამსახურის და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაფინანსებას, ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმის ფინანსურ ნაწილს და სხვა საკითხებს.

კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდეგ, სიტყვით გამოვიდა თანამომხსენებელი, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე.

„კანონპროექტი ეყრდნობა 2019-2022 წლების ფისკალურ ჩარჩოს, რომელიც შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და გულისხმობს მიმდინარე ხარჯების ზრდის შეზღუდვას, საბიუჯეტო დეფიციტის ეტაპობრივ შემცირებას და ასევე, დასახული რეფორმების და პროექტების პრიორიტეტულ დაფინანსებას. წარმოდგენილი ღოკუმენტის მიხედვით, 2019 წლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი შენარჩუნებულია 4.5%-ის დონეზე, ნომინალური მშპ განსაზღვრულია 44 857.0 მლნ ლარით, ხოლო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამით, მისი მეთოდოლოგიით დაანგარიშებული დეფიციტი ნარჩუნდება მშპ-ის 2,6%-ის ფარგლებში. მთავრობის ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში შეადგენს 44.3%-ს. საზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ორივე ეს პარამეტრი - დეფიციტი და მთავრობის ვალის მოცულობა, შესაბამისობაშია, როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. კანონპროექტით სახელმწიფო შემოსულობების მოცულობა იზრდება 92.8 ლარით და ნაცვლად 12 863.0 მლნ-ისა შეადგენს 12 956.5 მლნ ლარს, ხოლო გადასახდელები იზრდება 223 მლნ ლარით და აღწევს 13 313.0 მლნ ლარს“, - განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე.

მისივე თქმით, პროექტი განხილული იყო ყველა კომიტეტში, წარმოდგენილი იყო შესაბამისი დასკვნები და გაიმართა შემაჯამებელი სხდომა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში.

„ჩვენ გვქონდა გარკვეული შენიშვნები მკეროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდასთან დაკავშირებით, ინფლაციასთან დაკავშირებით და ჩვენი შენიშვნების გათვალისწინებით მხარი დაუჭირეთ ცვლილებების განხორციელებას“, - აღნიშნა ირაკლი კოვზანაძე.

პლენარულმა სხდომამ პირველი მოსმენით განიხილა კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმად, დღგ-ისგან და იმპორტის გადასახადისაგან თავისუფლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი.

„კანონპროექტის ძირითადი მიზანია უზრუნველყოფით ხელმისაწვდომობა თამბაქოს მოხმარების ღირებულების მედიკა-

მენტოზურ საშუალებებზე, რომელიც ადამიანებს ეხმარება ჯანმრთელობისთვის საზიანო ჩვევა დაძლიონ“, - განაცხადა კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ.

კანონპროექტის ინიციატორთა მოსაზრებით, თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო/სამედიცინო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მოკლე თუ შორეულ მომავალში კიდევ უფრო გაზრდის თამბაქოს პროდუქტზე თავის დანებების შესაძლებლობებს, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების ჯანმრთელობაზე აისახება. ეს კი, გრძელვადიან პერიოდში, გამოიწვევს ჯანდაცვითი ხარჯების შემცირებას, როგორც სახელმწიფოს, ასევე პაციენტის მხრიდან. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, აკაკი ზოიძემ პლენარულ სხდომაზე, ასევე, პირველი მოსმენით წარადგინა კანონის პროექტი „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თანმდევ კანონპროექტთან ერთად. კანონპროექტის თანახმად, პაციენტის უფლებაა მიიღოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება და ამ მიზნით, სამედიცინო საქმიანობის დროს, დაუშვებელია ჯანმრთელობის დაცვის პერსონალისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა.

„საკანონმდებლო ინიციატივის მთავარი ამოცანაა პაციენტის უფლებების დაცვის გაუმჯობესება. ეს, ასევე დაკავშირებულია იმ საზიანო ტენდენციასთან, რომელიც ბოლო პერიოდში საზოგადოებაში გამოიკვეთა და ეს გახლავთ ძალადობა - ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზეწოლა სამედიცინო პერსონალზე და სოციალურ მუშაკებზე, როდესაც ისინი ასრულებენ პროფესიულ სამსახურებრივ მოვალეობებს და ვალდებულებებს“, - განაცხადა აკაკი ზოიძემ.

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებულია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარ-



ღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანა, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებას ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისთვის და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანას, რომლითაც სისხლის სამართლის კოდექსის მთელ რიგ ნორმებს მაკვალ-იფიცირებულ გარემოებად ემატება სამედიცინო პერსონალის ან/და სოციალური მუშაკის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილი ქმედებები.

# შიდა ქართლს გამოჩენული ადგილი უკავია ქვეყნის გეოპოლიტიკურ რუკაზე



**რ**ოგორც ცნობილია, მთელ მსოფლიოში, რეგიონების განვითარების პრობლემა ზოგადად ქვეყნის განვითარების საკითხს წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში, წლების მანძილზე არსებულმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა ჩაჯდომებმა და შესაბამისი პოლიტიკური ნების არქონამ რეგიონების მიმართ ცენტრალური ორგანოების ყურადღება მოაღწია, რამაც მოგვიანებით ერთბაშად იჩინა თავი - სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარება ჩიხში მოექცა და რაიონული ცენტრების ინფრასტრუქტურა მთლიანად მოიშალა. ასეთი მძიმე მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის მომავალს, რადგან საქართველოს ძირითადი რესურსების გამოყენება დანაშაულებრივად იყო უგულვებელყოფილი. ძალზე ცუდად და მძიმე შედეგების მომტანი ფორმით ექსპლოატაცია ქვეყნის მოქალაქეების უმნიშვნელოვანეს თვისებებს და ხდებოდა ქვეყნის ინტელექტუალური კაპიტალის სრული დეგრადაცია. შიდა ქართლში ამას დაემატა 2008 წლის ომი და ტერიტორიების ოკუპაცია, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. დღევანდელი ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, რომ აქცენტი ძლიერ და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბებაზე უნდა გააკეთოს. ასეთ ვითარებაში კონკრეტულად გამოიკვეთება ადგილობრივი ხელისუფლების როლი, წახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას თანამედროვე, ევროპული ინფრასტრუქტურა. შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი, ბატონი **გიორგი სოფელაძე**, აპარატის თითოეულ თანამშრომელთან ერთად, ცდილობს ეფექტურად გამოიყენოს რეგიონის უპირატესობანი, სწორად განსაზღვროს აქცენტები და ეფექტური მენეჯმენტის საშუალებით უფრო მეტად პროდუქტიული გახადოს მუნიციპალიტეტების საქმიანობა, ვინაიდან შიდა ქართლის ბუნებრივი თვითმყოფადობა, ისტორიული წარსული, კულტურული მემკვიდრეობა და საწარმოო უპირატესობების მიზანმიმართული სტრატეგიული განვითარება, წინაპირობაა იმისა, რომ უახლოეს ხანში, საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი კუთხე მთელი ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარი გახდება.



**- ბატონო გიორგი, თავდაპირველად რეგიონში მიმდინარე სამუშაო პროცესებზე გვითხარით...**

- მას შემდეგ, რაც საქმიანობას შევეუდექი, რეგიონში საკმაოდ ბევრი გამოწვევა დამხვდა. ეს იყო სხვადასხვა ტიპის პროექტები, რომელთაგან ზოგი ბოლომდე იყო მისაყვანი და ახალს კი, სტრატეგიულად გაუმჯობესებული დაგეგმვა ესაჭიროებოდა, რაც, საბოლოოდ ვფიქრობ, საკმაოდ ეფექტურად განხორციელდა. ჩემი ხელმძღვანელობით, სამხარეო ადმინისტრაციაში ინტენსიურად იმართება სამუშაო შეხვედრები მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან. ყურადღება გამახვილებულია ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკოლების რეაბილიტაცია, ამბულატორიების მშენებლობა, სტიქიის პრევენცია და ტურისტების მხარდაჭერა. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მსგავსი მიდგომით, მუნიციპალიტეტები დროულად ახდენენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვას

და დაკონტრაქტებას, ამავედროულად პროცედურების სწრაფი შესრულება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საპროექტო და სამშენებლო კომპანიების მზადყოფნას და ეფექტურობის ხარისხის ზრდას.

**- კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში რა ვითარებაა?**

- კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენთვის, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მხარდაჭერა გახლავთ. ახლახან კონფლიქტის ზონისთან მდებარე გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში - დიციში, ქორდსა და არბოში ვიმყოფებოდით, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით რეაბილიტაცია უტარდება 7 კილომეტრიან საავტომობილო გზას, რაც მოასფალტების სამუშაოებსა და სანიაღვრე სისტემის მოწყობას გულისხმობს. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარეობს სასმელი წყლის ქსელის მშენებლობა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კი გარე-განათების მოწყობა იგეგმება. კონკრეტულად სოფელ არბოში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, აქტიურად მიდის ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმის კაპიტალური რეაბილიტაცია. გარდა ამისა, მოწყობა მუზეუმის ეზო და ადღეება ბიბლიოთეკა. ზოგადად, სამუშაო პროცესში ადგილობრივების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც თითოეული პროექტი მათ საჭიროებაზე უნდა



იყოს მორგებული. ამ ადამიანებმა ყველაზე უკეთ იციან, თუ რა არის მათთვის პრიორიტეტული და ჩვენ სამომავლოდ სწორედ მათი ინტერესებიდან გამომდინარე დავგეგმავთ შემდგომ პროექტებს. ამიტომ, ამ თვალსაზრისით ვცდილობთ ყველა სოფელში იყოს მოწესრიგებული მთლიანი ინფრასტრუქტურა. წლის ბოლომდე, 17 სოფელში, რომელიც საოკუპაციო ხაზთან მდებარეობს, სრულად მოხდება წყლის დაქსელების სამუშაოები და ჰაბურდოებით უზრუნველყოფა.

**- რეგიონში მიმდინარე სხვა პროექტებზე რას გვეტყვიო...**

- 2019 წელს, მუნიციპალიტეტების ჭრილში, საკმაოდ საინტერესო და ამბიციური გეგმები გვაქვს. მხოლოდ წელს, შიდა ქართლში, 72 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 617 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. არაერთი პროექტი მიმდინარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში. სურამულაზე ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობის გარდა, იგეგმება დაბა სურამში, მდინარე სურამულას ერთ-ერთ სტრატეგიულ მონაკვეთზე გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სტიქიით გამოწვეულ რისკებს. მნიშვნელოვანია ახალი სტადიონის მშენებლობა, რაც ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, გათვალისწინებულია 2499 გრძ/მ გზაზე არსებული დობების განახლება, რომლის სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოები რეგიონის მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც, რა თქმა უნდა, როგორც მოსახლეობის, ისე მუნიციპალიტეტების საჭიროებებზეა მორგებული. გორში განახლდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებისთვის განკუთვნილი ავტოპარკი და ტერიტორიების დასუფთავების მიზნით, 6 ახალი სპეციალური ტექნიკა მუშაობას უკვე შეუდგა. აღნიშნული მანქანები მულტიფუნქციურია. ქუჩის მოსარეცხ მანქანებს, გარდა წყლის გამანაწილებლისა, გააჩნია ქვიშის საყრდელი ტექნიკური მოწყობილობები, წინა ნიჩაბი და მხვეტავი ფუნჯი, რაც მნიშვნელოვან დახმარებას გასწევს ზამთარში, უხვი ნალექის დროს, ქუჩების თოვლისგან მოკლე დროში გათავისუფლებისა და ტექნიკური მარილის გზის საფლ ნაწილზე დაყრის პროცესში. საირიგაციო პროექტები მიმდინარეობს ქარელის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში. სამუშაოების შედეგად, არხების საძირკველი და კედლები მონოლითური რკინა-ბეტონით მოპირკეთდება. რეაბილიტაცია უტარდება მეღვრეკისის და არბო-დიცის სატუმბ სადგურებს. გარემონტდება ელექტრომომარაგების შენობები და განახლდება სადგურის ელექტრო სისტემა, დამონტაჟდება ტუმბო-აგრეგატები. ნატანისა და ხე-ბუჩქნარისგან იწმინდება მაგისტრალური არხის მონაკვეთები, ამორტიზებუ-



ლი ჰიდროტექნიკური ნაგებობები და მოწყობილობები შეიცვლება ახალი ინფრასტრუქტურით, მაგისტრალური არხიდან გამომავალი წყლის დახურული გამანაწილებლები გამოიცვლება და მოეწყობა წყალგამანაწილებელი ჰები. აღნიშნული სამუშაოები ჩვენი მუნიციპალიტეტების ათასობით ჰექტარი სამეურნეო მიწის მორწყვას უზრუნველყოფს.

**- სოფელ ტინისხიდს მალე ახალი ამბულატორია ექნება...**

- ზოგადად, ჯანდაცვის მიმართულებით რეგიონში შესაბამისი პროექტები აქტიურად ხორციელდება. ოთხივე მუნიციპალიტეტში ამბულატორიების რეაბილიტაცია და მშენებლობა მიმდინარეობს. ამჟამად, შიდა ქართლის რეგიონში რეაბილიტაცია 18 ამბულატორიას უტარდება, ხოლო ტინისხიდის გარდა, კიდევ ორ სოფელში - ბებნისსა და ზღუდერში ამბულატორიის ახალი შენობები შენდება. ამ პროექტისთვის ბიუჯეტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო. სამუშაოების დასრულების შედეგად, 21 სოფლის მოსახლეობა განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს და სამედიცინო მომსახურებას ადგილზე მიიღებს. აქვე მინდა ვთქვა ტენდერის შესახებ, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გორის ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობაზე გამოაცხადა. თავშესაფარის შემოღობილი ტერიტორიაზე განთავსდება ადმინისტრაციული და კარანტინის შენობები, ვეტერინარული კლინიკა, ლაბორატორია, ვოლიერები და ყველა სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა. მის ფუნქციებში შევა ცხოველის პატრონის დადგენის ან ახალი პატრონის მოძიების მიზნით, ქმედითი ღონისძიებების გატარება და ცხოველთადაცვით ორგანიზაციებთან ერთად, ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიების წარმოება. გორის ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობა საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განხორციელდება და პროექტის დასრულება 2020 წელს არის დაგეგმილი.

**- შიდა ქართლის სკოლებში არსებულ ვითარებაზეც გვითხარით...**





- რეგიონის მასშტაბით, როგორც ქალაქების, ისე სოფლების საჯარო სკოლებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში 68 სკოლაში დაგეგმილია 81 პროექტის განხორციელება, რაც სველი წერტილების მოწყობას, სახურავების შეცვლას, გათბობის სისტემის მონტაჟს, კარ-ფანჯრებისა და ელექტრო გაყვანილობის შეცვლას გულისხმობს. საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. უკვე დასრულდა 19 პროექტი. საერთოდ, განათლების მიღებასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები ინფრასტრუქტურულად გამართული იყოს. პროცესი, რა თქმა უნდა, სამომავლოდაც გაგრძელდება. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებსა და პედაგოგებს შესაბამისი გარემო და პირობები ჰქონდეთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამიერიდან გორში ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედანი გვექნება. ღონისძიების მთავარი კულმინაცია სწორედ ზაზას გორში ჩამოსვლა იყო, რითაც განსაკუთრებით გაახარა ადგილობრივი ახალგაზრდა სპორტსმენები და გულშემბატკიერები. თბილისის შემდეგ გორი მეორე ქალაქია, სადაც საკალათბურთო მოედანი შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და კომპანია „გალფის“ ერთობლივი ჩართულობით აშენდა. სპორტული მოედანი საერთაშორისო საკალათბურთო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და აღჭურვილია უმაღლესი ხარისხის თანამედროვე საფარით. ეს სწორედ იმის ნათელი მაგალითია, რომ სამთავრობო და კერძო სექტორმა წარმატებით ითანამშრომლა, რასაც მომავალშიც აუცილებლად ვეგაგრძელებთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლობა ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიმართულებით შედგა. გარდა ამისა, ეტაპობრივად ვეგმავთ კულტურის ცენტრების გამოცოცხლებას. ახლახან გორის მუნიციპალიტეტის 4 სოფელში მსგავსი ტიპის ცენტრი ამოქმედდა, რასაც მოსახლეობის მხრიდან ძალზედ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

**- იმ პროექტებზეც მოგვიყვით, რომლებიც რეგიონში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს...**

- ვფიქრობ, ჩვენი რეგიონის პოტენციალის სრულად გამოვლენის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ტურიზმის შეფერხებით განვითარება წარმოადგენს, თუმცა ვითარების გამო-სასწორებლად ყველა ღონეს მივმართავთ და ამის მაგალითს გორის ციხეზე მიმდინარე არქეოლოგიური და სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმოადგენს. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გორის ციხე გორელებს და ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცა. შესაბამისად, მიმდინარეობს ისტორიული ძეგლის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გარშემო მოწყობა ბილიკები, დაიტვირთება ისტორიული და შემეცნებითი ატრაქციებით, ასევე დაგეგმილია მუზეუმის მოწყობაც. ზოგადად, შიდა ქართლის ტურისტული პოტენციალი, კულტურული და ისტორიული-გეოგრაფიული მოცემულობის გათვალისწინებით, დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს. გვაქვს მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა, ტბები, ჩანჩქერები, ხელუხლებელი ბუნება, უძველესი საერო და საკულტო ძეგლები. რეგიონს გააჩნია აგროტურიზმის შესაძლებლობა და ბოლო დროს, აქტიურად იკიდებს ფეხს ე.წ ღვინის ტურები. ეს იმ შესაძლებლობების არასრული ჩამონათვალია, რომელიც შიდა ქართლს გამოირჩეული ადგილი უკავია ქვეყნის ტურისტულ რუკაზე. გორის, ქარელის, ხაშურის და კასპის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ საკუთარი ნიშა, რომელიც თავის მხრივ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს და ვფიქრობ, ამ უპირატესობის გამოყენებით ჩვენი კუთხე და მთლიანად საქართველო კიდევ ერთ წარმატებულ ნაბიჯს გადადგამს წინსვლის და განვითარების საქმეში.



# მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ვაპირებთ

**დ**ღეს, როდესაც საქართველო უამრავი პრობლემისა და რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებების წინაშე დგას, ქვეყნის ეკონომიკა კვლავ განვითარების და სამომავლო პერსპექტივების უწყვეტი ძიების სტადიაშია. ზოგადი აქტივობის რეალურ შედეგებს, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში დავინახავთ, ვინაიდან სამინისტროებსა და უწყებებში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ, უკეთესობისკენ შეიცვლება მიდგომები პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით. კვლავაც გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი იქნება ტენდერები. მნიშვნელოვნად გაიზრდება მათში მონაწილეობით დანტერესებულ კომპანიათა რიცხვი. გადაიხედება ხარისხის სტანდარტები და გაიზრდება მისი კონტროლის მექანიზმები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რეგიონებში არსებობს პრიორიტეტების დადგენისა და პროექტების შერჩევის მეთოდოლოგია. დღევანდელი ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, რომ მისი ყურადღების არეალი, როგორც ამ ათიოდე წლის წინ ხდებოდა, მხოლოდ რამოდენიმე ქალაქის პრობლემებით არ უნდა შემოიფარგლოს. აქცენტი გაკეთდა ძლიერი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მუნიციპალური ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, ჩვენი საზოგადოება რეგიონების განვითარების კუთხით გაწეულ მუშაობას დადებითად აფასებს. განსაკუთრებით გამოსარჩევი და მისასალმებელია პროექტები, რომლებსაც პერიფერიებში მცხოვრები ადამიანებისთვის სამუშაო ადგილები მოაქვს და დიდ მოლოდინებს აჩენს სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის განვითარების მხრივ, რაც საბოლოოდ, რეგიონებიდან გასულ მოსახლეობას მშობლიურ ადგილებში დააბრუნებს. შიდა ქართლში სრულად მიესალმებიან ყველა პროცესს, რომელიც ამ კუთხით მიმდინარეობს - ქალაქების იერსახის აღდგენას, გზებისა და ელექტრომომარაგების რეაბილიტაციას, სრულ გაზიფიცირებას თუ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **გიორგი ბურასპაშვილს** მიაჩნია, რომ რეგიონები სწორედ ეკონომიკის აღმავლობის ხარჯზე უნდა განვითარდეს...



- ბატონო გიორგი, გასული წელი ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა...
- დაგეთანხმებით, 2018 წელს, ინფრასტრუქტურის განვი-

თარების კუთხით, მართლაც უამრავი პროექტი განხორციელდა. მათ შორის აღსანიშნავია დაბა სურამში ქუჩების მოასფალტების დასრულებული სამუშაოები. ასფალტის საფართან ერთად მოქწეო სანიაღვრე არხები, რაც მოსალოდნელი სტიქიის პრევენციისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ქვიშხეთში მოხდა შიდა გზების რეაბილიტაცია, საგზაო მონიშვნების დახაზვა, შეკეთდა სანიაღვრე არხები და ტროტუარები. პროექტით ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულის და მასში შემავალი სოფლების - ბელღეთის, ბულბულისციხეს და მონასტრის 3000 - მდე ადგილობრივი მცხოვრები და სტუმარი ისარგებლებს. სოფელ ტეზერში განხორციელდა ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოები, გზა ათწლეულების განმავლობაში მოუწესრიგებელი იყო, მუნიციპალიტეტის მერიამ კი მისი რეაბილიტაცია პრიორიტეტად მიიჩნია და პროექტი წარმატებით განახორციელა. აღნიშნული გზის რეაბილიტაციით ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ტეზრის, ყიფიანთუნის და საჯანისუნის 2000-მდე ადგილობრივი მცხოვრები სარგებლობს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად აუმჯობესებს. განხორციელდა სოფელ ოსიაურში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოქწეო 3 კმ-მდე მონაკვეთი, დაიგო ასფალტის საფარი, გაკეთდა სანიაღვრე არხები, განხორციელდა გზის დახაზვის სამუშაოები და განთავსდა საგზაო ნიშნები. მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი შენაძენია ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე ახლადამენებული სპორტული კომპლექსი, სადაც პროექტის ფარგლებში, გარე პერიმეტრზე





მოწყო მინი სტადიონი, საჩოგბურთო მოედანი, ავტოსადგომი და რეკრეაციული ზონები. კომპლექსში, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით განხორციელდა, განთავსებულია საკალათბურთო, სახელბურთო, საჭიდაო, ძალოსნობის, მძლეოსნობის და ფიტნეს დარბაზები. მეორე სართულზე ფუნქციონირებს საჭადრაკო ოთახი, სატრენაჟორო, მცირე საკონფერენციო დარბაზი და კაფე-სასადილო. შენობაში არის 40 ადამიანზე გათვლილი სასტუმროც. სპორტული კომპლექსი ყველა თანამედროვე სტანდარტს პასუხობს.


**- რაც შეეხება 2019 წლის პროექტებს?**

- წლებიდან ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაზარდულია ბოლო პერიოდთან შედარებით და შესაბამისად, პროექტების რაოდენობამაც მკვეთრად იმატა. ჩვენს პრიორიტეტად კვლავაც ინფრასტრუქტურის მოწესრიგება რჩება. ხაშურის ცენტრალურ შესასვლელთან, ბორჯომის ქუჩაზე, მიმდინარეობს ორ კილომეტრიანი ლოპების მოწესრიგება, იცვლება ეზოებში შესასვლელი კარებიც. აქტიურად მიმდინარეობს სოფელ მცხეთიჯვრიდან წაღვალამდე გზის მოასფალტების სამუშაოები. პროექტი ორწლიანია, თანადაფინანსებით ხორციელდება და მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებს საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად გაუმჯობესდება. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყაში წარმატებით განხორციელდა გზის მოასფალტების სამუშაოები. კეთილმოწყობილი 2 400 გრძობი მეტრი გზით, 1 500 ზე მეტი მოსახლე სარგებლობს. ცალკე აღნიშვნის ღირსია

სოფელ კრისხევამდე მისასვლელი 2 კილომეტრიანი მონაკვეთი, სადაც ასფალტის საფარი დაიგო. თრიალეთის ქედებს შორის მოქცეული ეს პატარა, მყუდრო და ლამაზი სოფელი დღეს მივიწყებულია, ხოლო საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა - დაცარიელებული. ვფიქრობთ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განიფიცირება და წყალმომარაგების აღდგენა ამ ადგილზე, როგორც ადგილობრივ, ისე აგარაკების მოსურნე მოსახლეობას დააბრუნებს და დაამკვიდრებს. აქტიურად გრძელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობისა და ქსელის რეაბილიტაციის მასშტაბური სამუშაოები. პროექტი გარდამავალია, ექსპლუატაციაში 2020 წელს შევა, მიმდინარე წელს კი მოხდება სათავე-ნაგებობის რეაბილიტაციის დასრულება. სამუშაოების განხორციელების შემდეგ, დაბა სურამში, იტრიის უბნებსა და მიმდებარე სოფლებში, ხარისხიანი წყალმომარაგების მეტად მტკიცეული პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება. პროექტით 3000-ზე მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს. ქალაქში გრძელდება კორპუსების ფასადებისა და სახურავების მოწესრიგება. მიმდინარეობს კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სადაც თანამედროვე აპარატურით, განათებით, ახალი ინვენტარით და სცენით აღჭურვილი დარბაზი გვექნება. ხაშურში, ვაჟა ფშაველასა და პუშკინის ქუჩებზე მოწყო სკვერი და მინი სტადიონი. ვუფხვამების უბანსა და ტაბიძის ქუჩებზე - მინი სტადიონები. უმნიშვნელოვანესი პროექტია ხაშურის ცენტრალური სტადიონის მშენებლობა. ხელოვნურსაფარიანი სტადიონი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება. პროექტის ფარგლებში, მოწყობა ტრიბუნები, დამხმარე ნაგებობები, განათება, ელექტროტაბლო, ლობები, პარკინგი. გამწვანდება მიმდებარე ტერიტორია. 2100 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში პროფესიული სპორტის განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

**- მომავალ თაობებზე ზრუნვის თვალსაზრისით...**

- მომავალ თაობაზე ზრუნვა, ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სასწავლო წლის დასაწყისში, ხაშურში, მინის ტარის დასახლებაში, ტეხერსა და სოფელ სატყეში კიდევ სამი სააღმწარდლო დაწესებულება გაეხსენით. შენობები თანამედროვე სტანდარტებითაა მოწყობილი და პატარების აღზრდა-განვითარებისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი. შესაძლებელი გახდა ბაღებში ჯგუფების დამატება, გაიზარდა აღსაზრდელის რაოდენობა და დასაქმდა ახალი პერსონალი. წარმატებით განხორციელდა ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე #7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ახალი საბავშვო





ბალი 6 ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი და 200 აღსაზრდელს ემსახურება. პროექტის ფარგლებში მოწეო ბალის მიმდებარე ტერიტორია, მოპირკეთდა შენობის შიდა და გარე კედლები, შეიცვალა კარ-ფანჯარა და წყალგაყვანილობა, დამონტაჟდა გათბობა-გაგრილების სისტემები. გარდა ამისა, როგორც მოგეხსენებათ, სკოლების ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა ადგილობრივ ხელისუფლებას დაეკისრა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 22 საჯარო სკოლაში წარმატებით დაგასრულეთ მცირე რეაბილიტაციის სამუშაოები. სოფელ ფლეკში გაგხსენით სრულიად ახალი სტანდარტების სკოლა. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, ჩვენს მუნიციპალიტეტის სოფლებში: ქინძათსა და ქემფერში კიდევ 2 ახალი სკოლის მშენებლობა დაგეგმილი. ხაშურის მუნიციპალიტეტს სხვადასხვა მიმართულებით, არაერთი წარმატება აქვს, რაც ეხოდენ სასიხარულო და დასაფასებელია.



ჩვენ უკვე ტრადიციით ვაქციეთ და წელსაც მუნიციპალიტეტის 14 სტუდენტს, რომლებმაც 2019 წელს წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიიღეს 100%-იანი გრანტი, გადაეცით ვიდეოები. დასაწყობდა ინტელექტუალურ კონკურს ეტალონი 2018-19 წლის გამარჯვებული მოსწავლეც. დაჯილდოვდნენ წარმატებული სპორტსმენები.

**- ხაშურის მუნიციპალიტეტმა ტურიზმის განვითარების კუთხითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა...**

- დასრულებულია სოფელ ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები. შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, ამიტომ პროექტი სტანდარტების სრული დაცვით განხორციელდა. ქართული საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ლიტერატორის და მთარგმნელის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, ასევე ტურიზმის განვითარების მხრეც. როგორც იცით, ჩვენ წელსაც, ტრადიციულად ჩავატარეთ ხაშურ-ქალაქობის დღესასწაული, რომელიც ადგილობრივებთან ერთად იხეიმეს უცხოელმა სტუმრებმა: პოლონეთიდან, უკრაინიდან, ლიეტუვიდან, ლატვიიდან და ბელორუსიიდან. მათ სამუალება ჰქონდათ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმთან ერთად, ქალაქში გამართული გამოფენები დაეთვლიერებინათ, სადაც წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის ნიმუშები და ადგილობრივ მხატ-

ვართა ფერწერული ნამუშევრები. ადგილზევე მოხდა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო სტენდის დემონსტრირება. მოწეო ადგილობრივ მეწარმეთა და მეღვინეთა ნაწარმის გამოფენა-დგეუსტაცია. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, რომლებიც მრავალფეროვანი ქორეოგრაფიული ნომრებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. ხაშურის მუნიციპალიტეტში ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე, ბუნებრივი რესურსები და სამკურნალო წყლები ტურიზტების დაინტერესებას იწვევს. ამ მხრე უნიკალურია სურამი, სადაც წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის განსაკუთრებული პროპორციაა, დაბის ცენტრში კი არსებობს მინერალური წყლების საკმაოდ დიდი დეპოტი. როგორც უკვე აღვნიშნე, დაბა სურამში, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით არაერთი პროექტი განხორციელდა: მოწეო სანიაღვრე სისტემები, გარემონტდა პოლიკლინიკა და საბავშვო ბაღი, აშენდა მინი-სტადიონები. ყურადღება ექცევა სასმელი წყლის, სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრების, სურამის ციხის რეაბილიტაციის, გზების მშენებლობის საკითხებს. გარდა ამისა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, სურამის გენგეგმის შემუშავებაზე გამოცხადდა კონკურსი, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. მნიშვნელოვანია, რომ უკვე შედგენილია უკრაინული პოეტის ქალის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი და სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

**- სამომავლო გეგმებზეც გვითხარით...**

- სამომავლოდ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, რაც ვფიქრობ, დიდ ზეგავლენას იქონიებს მუნიციპალიტეტის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. მაქსიმალურად ვცდებით დაწეებული სამუშაოები დაგასრულოთ და კვლავაც ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს მივხედოთ. გაგრძელდება სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა. პრაქტიკულად დასასრულს უახლოვდება განვითარების პროცესი. ამ ეტაპზე დარჩენილია მაღალმთიანი ზონა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფლები, რომლებსაც, ვფიქრობთ, 2020 წელს საბოლოოდ მოუუგვარებთ პრობლემას. აქტიურად ვმუშაობთ წყალმომარაგების და კანალიზაციის პრობლემებზე. აზერბაიჯანული კომპანიის მიერ პროექტი უკვე შედგენილია და მისი განხორციელება მომავალი წლისთვის დაიწყება. ამასთან ერთად, 5 სოფელში დასასრულს უახლოვდება თანამედროვე სტანდარტებით ადგურებილი ამბულატორიების კეთილმოწყობა. მიმდინარე წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“, ჯამში 844 000 ლარის ღირებულების, 80 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი, ხაშურის მუნიციპალიტეტში განხორციელდება. მისასაღებელია, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ადგა, რომლის ფარგლებშიც, სოფლად მცხოვრები ჩვენი მოსახლეობის საკეთილდღეოდ 20 მილიონი ლარი გამოიყო. ჩვენ, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ვგვდებოდით ადგილობრივ მოსახლეობას და განვიხილავდით საჭიროებებს, რადგან ზმირ შემთხვევაში, სოფელმა უკეთ იცის რა მოთხოვნებია ადგილზე. პროექტების ნუსხაშია სკოლების, საბავშვო ბაღების, სოფლის სასაფლაოების და სტადიონების კეთილმოწყობა, სასმელი წყლის, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, გარე განათების სისტემების მოწყობა. პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს და ზოგიერთი მათგანი უკვე დასრულებულია. ვფიქრობ, მოსახლეობისთვის ამდენი მნიშვნელოვანი პროექტი, ხაშურის მუნიციპალიტეტში, წლების განმავლობაში არ განხორციელებულა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებისა და ხალხის ერთად დგომით, კვლავაც ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება.

# თვალსაჩინო წინსვლა მოკლე დროშია შესაძლებელი



**რ**ოგორც ცნობილია, ძლიერი რეგიონები ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა გახლავთ. სწორედ ამის გამო, სახელმწიფოს მიერ შემუშავდა სოფლის განვითარების სტრატეგია, რომლის განხორციელების პროცესში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას, მათ ჩართულობას ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მოგვარების გზების დასახვის პროცესში. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს და სტიმული მისცეს ისეთი პროექტების განხორციელებას, რაც გამოიწვევს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა“, რომელიც საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება და მიზნად ისახავს რეგიონების შემდგომ გაძლიერებას. საბედნიეროდ, უკანასკნელ პერიოდში, პოზიტიური შედეგები ნათლად გამოიკვეთა - საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის გაზიარებით თვალსაჩინო გახდა სოფლის განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა, შემცირდა ეკონომიკური უთანაბრობა, ყურადღება გამახვილდა სოფლის, როგორც არა მხოლოდ სამეურნეო ნედლეულის წარმოების ადგილზე, არამედ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფუნქციებზე. ამ ფონზე, აჭარის რეგიონში, თვითმმართველობა სრულად აცნობიერებს ყველა დაინტერესებული პირისა და ფენის ჩართულობის მნიშვნელობას იმ საქმიანობაში, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება. ეს გარემოება, მართლაც სასიცოცხლოდ აუცილებელია დასახული გეგმების განხორციელების წარმატებისა და განგრძობადობის უზრუნველსაყოფად. ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში, ხელვაჩაურში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა განხორციელდა, როგორც მთავარ, ასევე შიდა ქუჩებზე შეიტანეს ბეტონი, დაიგო გზის საფარი, სრულდება სასმელი წყლის სისტემების განახლება. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ჯუშუბარ პარღვანიძე**, ფიქრობს, რომ იმ ტემპით, რომელიც ქვეყანას აქვს ადებული, დღევანდელი ძალისხმევითა და თანამედროვე ცვლილებებით ჯანსაღი მომავლის სრული სოციალური და ეკონომიკური უზრუნველყოფა მოკლე დროშია შესაძლებელი...

## ბატონო ჯუშუბარ, თვალსაჩინოდ 2018 წელს განხორციელებულ პროექტებზე გვითხავთ...

- გასულ, 2018 წელს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა დასრულდა მტირალა-ფოროლისთავის წყალსადენის მოწყობა, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. დაგამთავრეთ სოფელ ახალშენის მუსიკალური სკოლისა და კულტურის სახლის რეკონსტრუქციის II ეტაპი, ასევე ბათუმი-ხულო-ახალციხის მე-16 კილომეტრში, მდინარე აჭარისწყალზე წარმოებული ნაპირსამაგრი სამუშაოები. გარდა ამისა, კიბეში, მნათობში, ფერაისა და ახალშენის მეურნეობაში დასრულებულია სასმელი წყლის მაგისტრალის და რეზერვუარის მოწყობა, მათი ქალაქის წყალსადენზე დაერთობით. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქვედა კაპრეშუში და სოფელ ახალშენში არსებულ სისტემას, ხოლო მახვილაურში ჭაბურღილის, აუზის და წყლის მაგისტრალის მოწყობა განხორციელდა. პარალელურად, სოფელ წინსვლაში, ცინცილაძეების

დასახლებაში გაშენდა სკვერი. სპორტული მოედნის და სკვერის მოწყობა მოხდა, ასევე, სოფელ ახალსოფელში. კაპრეშუში დაგასრულეთ საჯარო სკოლის, ხოლო სარფში მინი საფეხბურთო მოედნის მშენებლობა. სოფელ ჯიბინაურში გაიმართა ჭაბურღილი და სასმელი წყლის შიდა ქსელი.

## - როგორც ვიცით, წარმატებით განხორციელეთ ბუნებრივი რესურსებისა და აგარარულ საკითხთა სამსახურის მიზნობრივი პროგრამა...

- მოგვხსენებთ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მცირემიწიანობის პირობებში, რესურსების რაციონალური გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის მიზნით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დახურული გრუნტის კიდევ უფრო განვითარება და ბოსტნეული კულტურების არასეზონური წარმოების ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ, ააიპ აჭარის „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს 2018 წლის პროგრამის ფარგლებში, სასათბურე კონსტრუქციით უზრუნველყოფილი ბენეფიციარისთვის, მოხდა სასათბურის საძირკვლის მოწყობისთვის დაფინანსების ხელშეწყობა. პროგრამის მიზანი გახლავთ მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენებით სასათბურე სექტორის განვითარება, ფერმერულ მეურნეობებში საადრეო ბოსტნეული კულტურების წარმოების დანერგვა, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. რაც მოსახლეობას დაქმნარება სათბურის ევროპული სტანდარტებით მოწყობაში და გაზრდის მათ ფინანსურ შემოსავლებს.

## - წელს რა მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება?

- ჩვენი თაოსნობით, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეკომიგრანტი ოჯახებისთვის, სოფელ კაპრეშუში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაიწყო. ამ ეტაპზე, უკვე დასრულებულია შენობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, რომელსაც კომპანია „მშენებელი“ აწარმოებს. სამუშაოები ორ ეტაპად უნდა წარიმართოს და „სოციალური სახლი“ 39 საცხოვრებელი ბინა იქნება განთავსებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია ახალსოფელში მიმდინარე სასმელი წყლის წყალსადენის მშენ-



ებლობისა და მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები. პროექტის პირველი ეტაპის განხორციელება 2018 წელს დაიწყო, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 1 622 000 ლარი გამოიყო, თუმცა სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების გამო, მერიამ შეწყვიტა გამარჯვებულ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება. შესაბამისად, პროექტის დასრულების მიზნით შედგა ელექტრონული ტენდერი დარჩენილ ნაწილზე და ამ ეტაპზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების 60% უკვე შესრულებულია. 2020 წლისათვის დაგეგმილია პროექტის მეორე, დამამთავრებელი ეტაპის განხორციელება, რის შედეგადაც, 900 ოჯახი სასმელი წყლით მომარაგდება.

**- სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე რას გვეტყვი?**

- ზემოაღნიშნულის პარალელურად, მუნიციპალიტეტში წარმატებით მიმდინარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია. მიმდინარე ეტაპზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან, რომელთაც უნდა უზრუნველყონ სხვადასხვა სოფლებში არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა. შესაბამისად, დროულად მოხდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე შხა ბეტონის შეტანა, ხოლო, ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოებს ადგილობრივი მოსახლეობა განახორციელებს. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე პროექტის 70% უკვე შესრულებულია. გარდა ამისა, 2019 წელს, ხელკაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია 50 ერთეული საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის მშენებლობა. მიგრეთში, მახოში, სინდიეთში, ქვედა ჯოჭოში, ერგეში და ზედა ჯოჭოში მიმდინარეობს გარე განათების მოწყობა, ხოლო მსგავსი ტიპის სამუშაოები დასრულებულია ორთაბათუშში, ახალსოფელში, განთიადში, კაპრეშუშა და მნათობში. არ უნდა დაგავიწყდეს სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამა, რაც მჭიდროსაა ზონაში მცხოვრები მოქალაქეების სახლებთან სპეციალური ნაგებობების მოწყობას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში, 16 ფერდსამაგრი ნაგებობის მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოებს ერთდროულად ტენდერში გამარჯვებული ორი კომპანია აწარმოებს და ამ ეტაპზე სამუშაოების 80% შესრულებულია.

**- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ როგორ მიმდინარეობს ...**

- როგორც მოგეხსენებათ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ საქართველოში ორწლიანი პაუზის შემდეგ 2019 წლიდან განახლდა. პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის ტიპის დასახლებების ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობის ჩართულობის ზრდას გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ სოფელს ცენტრალური ბიუჯეტიდან გარკვეული ოდენობის თანხა ეძლევა და ადგილობრივები თავად არაკვევენ, რას მოხმარდება ეს ფული. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე, სოფლებში ხდება შხა ბეტონის შეტანა, პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 13300 ლარის ღირებულების გარე განათების მოწყობის სამუშაოები და 9046 ლარის ღირებულების სასმელი წყლის მიღების შესყიდვა.

**- სამომავლო გეგმებზე რას იტყვი...**

- იმ პროექტებთან ერთად, რომლებზეც უკვე მოგახსენეთ, 2019 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსდება და განხორ-



ცივდება სოფელ აჭარისაღმართის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. პროექტი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 169 996 ლარს შეადგენს, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში დასრულდება და 50-მდე ოჯახის სასმელი წყლით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. გარდა ამისა, სოფელ ხელკაჩაურში, საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს მინი საფეხბურთო მოედნის და სკვერის მოწყობის სამუშაოები. ამ ეტაპზე სტადიონის ბეტონის საფარით მოწყობა დასრულებულია, ხოლო სკვერი გასართობი ატრაქციონებითა და ტრენაჟორებით კეთილმოეწობა. დასასრულს, მინდა აღვნიშნო სოფელ ზედა ჭარნალის ცენტრის მოწყობის სამუშაოები, რაც ითვალისწინებს არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაციას, ზედა ჭარნალის არასრულ საჯარო სკოლასთან ფერდსამაგრი კედლისა და მოაჯირის, ასევე მინი გასართობი ატრაქციონის მოწყობას. ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიცვლება ღობე, დამონტაჟდება მოსასვენებელი ფანჯატური და სასმელი წყლის შადრვანი. ამ პროექტების განხორციელებაში დიდი მხარდაჭერა გვაქვს სახელმწიფოს მხრიდან, რაც უფრო მეტ სტიმულს გვაძლევს ადგილობრივ ხელმძღვანელობას და გვაიმედებს, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერი და განვითარებული გახდება.




# გურიის მხარეს ექნება ერთ-ერთი სწრაფად ზრდადი ეკონომიკა



საქართველოს რეგიონების ფინანსური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის საკითხებს და არსებული ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. რეგიონული პოლიტიკის ახალი გამოწვევების და შესაძლებლობების თაობაზე უამრავი მსჯელობა ეწეობა და არც სათანადო გადაწყვეტილებები აყვინებს. განსაკუთრებული ყურადღება დედაქალაქის მოშორებით მდებარე სასოფლო-ურბანულ დანაყოფებს ეთმობა და პროცესები მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. საერთო მიდგომა უშუალოდ თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობას ითვალისწინებს და საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და შესაბამის ღონისძიებებს განსაზღვრავს. გურიის მომავალი განვითარებისათვის შემუშავებული სტრატეგიული ხედვა, პრიორიტეტები და წინადადებები რეგიონის და მისი სექტორული განვითარების კონკრეტულ ანალიზს ეყრდნობა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გამოკვეთილია რამდენიმე საკანძო საკითხი, რაც შესაძლებელს გახდის სათანადო ძალისხმევას მიმართვას ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორცაა - მხარის ბუნებრივი რესურსებისა და მატერიალური აქტივების გონივრული მართვა-გამოყენება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის, სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ტურისტული ინდუსტრიის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება, საბაზისო და სოციალური ინფრასტრუქტურა, მიწხიდიველი საინვესტიციო გარემო და ზოგადი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. სამომავლოდ, სწორედ ამ სექტორების წარმატებამ უნდა განაპირობოს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული მხარის მხარედი ეკონომიკა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის შესაძლებლობებს და შემოსავლებს. ხელს შეუწყობს ცხოვრების საერთო დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. ეს როული და საპასუხისმგებლო მისია, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს, ბატონ **ზურაბ ნასარაიას** აკისრია...

## - ბატონო ზურაბ, მოგვიყვით რეგიონის პრიორიტეტულ მიმართულებებზე...

- მოგესხენებათ, საქართველოს მთავრობისთვის, უკვე წლებია, პრიორიტეტული გახლავთ, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონების თვითმმართველ თემებში არსებობს მრავალი ინფრასტრუქტურული საჭიროება, თუმცა შეზღუდული მატერიალური რესურსების პირობებში ყველა მათგანის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება. შესაბამისად, პრიორიტეტული პროექტების შერჩევის პროცესს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ გურიის რეგიონი, რომელიც სამი მუნიციპალიტეტისგან შედგება, ტერიტორიულად მცირეა, გამოწვევები კი მაინც საკმაოდ დიდია. არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით, მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს, ვიმსჯელებ უკვე დასრულებულ და სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებზე. შვეიმუშავეთ კონკრეტული სამოქმედო გეგმა და განვსაზღვრეთ შემდეგი პრიორიტეტული



მიმართულებები - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, განათლება, კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

## - ჩამოვლილიდან, საკმაოდ დიდი რესურსი დაიხარჯა ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის...

- გზების რეაბილიტაცია რამდენიმე მიმართულებით განახორციელებოდა. დასრულდა საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის, ოზურგეთი-ნატანების-ურეკის და ჩოხატაურში, ბუკისციხე-ხემო სურების დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გამოცხადდა ტენდერი მოვლა-შენახვის მრავალწლიანი პროექტის განხორციელებაზე, რომლის ფარგლებში 70 კმ-მდე გზის რეაბილიტაცია დაგეგმილი სამივე მუნიციპალიტეტში. ამავე წელს

დასრულდება შეიდი ობიექტის ნაპირსამაგრი სამუშაოები მხოლოდ ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში. აქ შედის აჭისწყლის გახმაურებული ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში. ზოგადად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არ დარჩენილა სოფელი, სადაც სოფლის ცენტრიდან ქალაქამდე არ იყოს ასფალტირებული გზა. წელს განსაკუთრებული აქცენტი სტიქიის პრევენციაზე გაკეთდა. ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში, ერთ-ერთი მთავარი გრიგოლეთში ზღვის სანაპირო ზოლში პრევენციული ღონისძიებების სამუშაოებია. დაგეგმილია ტენდერი საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების სარეაბილიტაციოდ. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა ოზურგეთი-ნარუჯა-ლაითურის გზის რეაბილიტაცია, ასევე, დაბა ურეკში ქუჩების და ბულვარის მოწყობა. სულ ნაპირდაცვისა და პრევენციული რეაბილიტაციის, ასევე სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის და გაწმენდის მიმართულებით გათვალისწინებული სამუშაოებისთვის ათი მილიონი ლარია გათვალისწინებული. გასულ წელთან შედარებით მოიმატა გაზაფხულის სამუშაოებმა. თუ 2018 წელს პროექტებში 16 სოფელი იყო ჩართული, წელს უკვე მათმა რიცხვმა 19 სოფელს მიაღწია.

**- რა ფორმით მოხდება სოფლის პროგრამით განსაზღვრული თანხის განკარგვა?**

- ამ მხრივ ცვლილება არ იგეგმება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც აქამდე შეჩერებული იყო 2019 წლიდან კვლავ აღდგა და მოსახლეობა, კვლავაც თავად გადაწყვეტს პრიორიტეტებს. შესაბამისი მიმართულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 374 ათასი ლარი, ოზურგეთში - 537 ათასი ლარი, ჩოხატაურში - 365 ათასი ლარია განსაზღვრული. სულ დაახლოებით 360-მდე პროექტი იქნა განხორციელებული. მათ შორისაა სპორტული მოედნების მოწყობა, გარე განათების გამართვა, სკვერების მოპირკეთება, სოფლის ცენტრების გალამაზება და სასაფლაოების შემოღობვა. წელს დასრულდა შეკვეთილი-გრიგოლეთი, შეკვეთილი-ურეკის სანაპირო ზოლზე განთავსებული სასტუმროებისა და კერძო სახლების ჩართვა ახალი წყლის სისტემაში. გაკეთდა საკანალიზაციო სისტემა, მათ შორის - სათაო გამწმენდი ნაგებობა. ეს ერთ-ერთი ამბიციური და დიდი პროექტი გახლდათ და საკმაოდ მოკლე ხანში დავასრულეთ. აქვე მინდა დავამატო, რომ გურიის რეგიონში წარმატებით განხორციელდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები. თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდა საკარმიდამო ტერიტორიები, ხოლო ცივი შესხურების მეთოდით - სიმინდის მასივები. მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერების ჩართულობა. აღსანიშნავია, რომ ფუტკრის დაცვის მიზნით, ღონისძიებები მეფუტკრეებთან კოორდინირებული თანამშრომლობით მიმდინარეობდა.

**- სოციალურ პროექტებზე რას გვეტყვი?**

- ამ მიმართულებაშიც აქტიურად ვართ ჩართული და რეგიონში არაერთი პროექტი განხორციელდა. დონორ ორგანიზაციებთან ერთად დაახლოებით 600 მდე ეტლი დაუურიგეთ



იმ ადამიანებს ვისაც ამის აუცილებლობა გააჩნდა. გერმანიის საელჩოს აქტიური მხარდაჭერით მოხდა ადაპტირებული სპეციალური ტრანსპორტის შექმნა. მოსახლეობა აქტიურად სარგებლობს ათეულობით სოციალური პაკეტით. რაც შეეხება სკოლებს და ბაღებს აქაც საკმაოდ დიდი სამუშაოები განხორციელდა. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 60 საბავშვო ბაღს, ხოლო სკოლების მიმართულებით - 3 მილიონ 200 ათასი ლარი დაიხარჯა. სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება ოზურგეთის პირველ საჯარო სკოლაში, სადაც ინოვაციების ცენტრიც აშენდება და ერთ-ერთი სამაგალითო და საჩვენებელი სკოლა იქნება. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ვიწყებთ ნასაკირალის და ურეკის სკოლების მშენებლობას, რომელიც 600-600 ბავშვზეა გათვლილი და დაახლოებით 14 მილიონი ლარი დაჯდება. რაც შეეხება საბავშვო ბაღების მშენებლობას, ამ მხრივ ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში დაგეგმილია ახალი სკოლამდელი დაწესებულებების აგება, რისთვისაც 2 500 000 ლარია განსაზღვრული. მეტ-ნაკლებად დადებითი ტენდენციებია ამბულატორიების მშენებლობის მხრივ - 73 ამბულატორიიდან, 66 რემონტს საჭიროებს. 4 ამბულატორიისთვის ახალი შენობაა საჭირო, ხოლო სამი ამბულატორია წესრიგშია.

**- რაც შეეხება ტურიზმს...**

- მოგეხსენებათ, გურიის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, შავიზღვისპირეთისა და მაღალმთიანეთის კურორტული ზონები, კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიმრავლე მინერალური წყლები და სხვა ბუნებრივი რესურსები ქმნის კარგ პირობებს რეგიონში სხვადასხვა სახის ტურიზმის განსავითარებლად. შავიზღვისპირეთში განლაგებულია ცნობილი



კურორტები - ურეკი, შეკვეთილი და გრიგოლეთი, ხოლო მაღალმთიან ალპურ ზონაში - ბახმარო და გომისმთა. რეგიონის ტერიტორიაზეა, ასევე, ორი ბალნეოლოგიური კურორტი - ნაბეღლაი და ნასაკირალი. სასიხარულოა, უკანასკნელ წლებში, მკვეთრად იმატა სასტუმროების რაოდენობამ. მოქმედებს თანამედროვე ტიპის ბავშვთა გასართობი ცენტრები.

**- უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა სახსრები იგვემება...**

- გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ახალი ეროვნული პარკი შეიქმნება. უახლოეს მომავალში დაიწყება წინა საპროექტო კვლევები და მოხდება იმ ტერიტორიების იდენტიფიცირება, სადაც შემდგომ ეროვნული პარკი შეიქმნება. წინასწარი ინფორმაციით, შესწავლის პროცესი 2021 წლამდე დამთავრდება. გურიის ეროვნული პარკის შექმნის პროცესი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მხარდაჭერით მიმდინარეობს. ეს ყველაფერი კი ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობს. ვგეგმავთ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირიდან კურორტ ბახმაროსთან დამაკავშირებელ საბაგირო გზის მშენებლობას, რაც 20 კმ-იან მონაკვეთს, რამოდენიმე სადგურს მოიცავს, სადაც მოხდება სხვადასხვა სიმაღლეზე მგზავრთა გადასხდომა. ეს კი მეტად გაზრდის ზამთრის სეზონზე ბახმაროში დამსვენებელთა რაოდენობას. ზღვა და მთა ალტერნატიული გზით დაუკავშირდება ერთმანეთს.

უკვე განისაზღვრა საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობების წინასწარი ნუსხა, რომლებზეც მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის პროცესიც წარმართება. პირველ ეტაპზე 4 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი შეირჩა და სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამუშაოები ღიზაურის ციხეზე, ასკანის ციხეზე, კონჭკათის მამათა მონასტერზე და ჯუმათის ეკლესიაზე დაიწყება. დაგეგმილი სამუშაოები მოიცავს არქიტექტურული ნაგებობების რეაბილიტაციას, მათ სტრუქტურულ გამაგრებას, ტერიტორიებზე გადასახედი მოედნებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობას, საკომუნიკაციო გზების მოწესრიგებასა და განათების სისტემების მონტაჟს. წინასწარ უკვე განსაზღვრულია სამოქმედო პროგრამა. ადგილობრივი თვითმმართველობები ძეგლების სარეაბილიტაციო-ინფრასტრუქტურული პროექტის მოსაზრადებელ ეტაპს უზრუნველყოფენ, რაც ტერიტორიის და არქიტექტურული ნაგებობების ხე-მცენარეებისაგან დადგენილი წესით გაწმენდას ითვალისწინებს. სამუშაოები დაწყებულია და 2020 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

**- გურიის რეგიონში ახალი ტურისტული პროდუქტი შექმნიეთ...**

- ახლახან, ოზურგეთში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართული ჩაის ფესტივალი გაიმართა, რომელიც ახალი პროექტის - „ჩაის გზის“ ფარგლებში ჩატარდა. პროექტი ითვალისწინებს ქართული ჩაის პოპულარიზაციას, როგორც სამრეწველო, ისე ტურისტული მიმართულებით. ფესტივალის სტუმრებმა 20-მდე ქართული

ჩაის მწარმოებელი საოჯახო მეურნეობების და საწარმოების პროდუქცია დააგემოვნეს, მონახულეს ეთნოგრაფიული კუთხე. პარალელურად, წარმოდგენილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქცია - თაფლი, მშრალი ხილი, ღვინო, არაყი, თევზისა და ყურძნის ნაწარმი. ღონისძიებას საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორი და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი ლუიზა ვინტონიც ესწრებოდა. „საქართველოს ორგანული ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით ფესტივალის ბოლოს ჩატარდა ჩაის ოსტატთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და კონფერენცია თემაზე „ქართული ჩაის სამრეწველო და ტურისტული შესაძლებლობები“. ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი, ხოლო გამარჯვებულებს სიგელები და პრიზები. ზოგადად, ფესტივალის კუთხით გურია ერთ-ერთი წარმატებული და აქტიური რეგიონია. ხშირად ტარდება მასშტაბური ღონისძიებები, სადაც სხვადასხვა რეგიონის შემოქმედებითი ჯგუფები გამოდიან.

**- ინვესტორების მოზიდვის კუთხით რა სახსრებია?**

- გვაქვს უამრავი შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ინვესტორები მოდიან ნიადაგის მოსასინჯად, სწავლობენ ბაზარს და პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობას. ვფიქრობ გურიას ამ მიმართულებით ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს. უბრალოდ სწორად უნდა განვითაროთ სოფლის მეურნეობა და მოსახლეობას მხარი დაუჭიროთ რეგიონში ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის პროდუქტის მოსაყვანად, რათა მისი რეალიზაცია არამხოლოდ რუსეთის, არამედ ევროპის ბაზარზე განხორციელდეს. ერთიორად გაზრდილია მოთხოვნა ჩაიზე და ხილზე. მოსახლეობა საკმაოდ აქტიურად ჩაება კენკროვნების მოშენების საქმეში, შექმნეს პატარა-პატარა კოოპერატივები და აქტიურად მონაწილეობენ მოცვის გაშენების პროცესში. კვლავინდებურად წარმატებულია თხილის და ციტრუსების მოშენების საქმე.

**- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყობით...**

- ჩვენს მიერ, მხარის განვითარების ხედვის ჩამოყალიბებისას, გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო საკითხი, რაც შესაძლებელს გახდის ინტეგრირებული ხედვის შექმნას და სათანადო ძალისხმევით მიმართვას შესაბამის მიმართულებებზე. სამომავლოდ ისევ და ისევ პრიორიტეტად დარჩება ინფრასტრუქტურის განვითარება. ვაპირებთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, ტურისტული ინდუსტრიის მრავალმხრივ მხარდაჭერას. შევქმნით მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს და გავაგრძელებთ ექსპორტზე ორიენტირებულ მეწარმეობის სტიმულირებას. ამას დაემატება სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ 2020-21 წლისთვის გურიის მხარეს ექნება ერთ-ერთი სწრაფად ზრდადი ეკონომიკა, შესაბამისი სოციალური უსაფრთხოებითა და კეთილდღეობის სტანდარტით. რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის შესაძლებლობებს და შემოსავლებს, ხელს შეუწყობს ცხოვრების საერთო ღონის მნიშვნელოვან ამაღლებას.



# MTM



Leselidze st. L2. N2  
Terjola, Georgia

Agmaschenebeli AVE N81.  
Kutaisi, Georgia

Office: +995 0 790 702 302;  
+995 (0) 431 25 13 25

Mobile: +995 599 58 77 48  
Email: [ltdmtm@gmail.com](mailto:ltdmtm@gmail.com)

# თვითგამართვებებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის ალტერნატივა არ არის

**დ**ღევანდელი არაპროგნოზირებადი საერთაშორისო გარემო უდიდესი გამოწვევებისა და რისკების წყაროა, განსაკუთრებით ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველო გახლავთ. ამგვარ გარემოში საფრთხეების თავიდან აცილება და თითოეული შესაძლებლობის გამოყენება, ჩვენი ქვეყნის წარმატებული განვითარებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საბედნიეროდ, უკანასკნელ ხანს საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობა ძველ რიტმს უბრუნდება და ბიძგს აძლევს ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდას, რაც სამომავლოდ სწრაფი განვითარების პოტენციალის მანიშნებელია. ასეთ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული რეგიონების განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა ხდება. ამ სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, როგორც კონკრეტული პროექტების სამოქმედო პროგრამების, მათი განხორციელების ვადების, ხარჯებისა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრა, ისე რეგიონებში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ინვესტიციების წახალისება და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება.



შესაბამისად, სასიცოცხლოდ აუცილებელია დაუყოვნებლივ მოქმედებები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გასავითარებლად და მათი, როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეების გამოსავლენად. სწორედ იმ პრიორიტეტულ საკითხებს და მწვავე პრობლემებს, რომელიც დღეს რაიონში არსებობს, ყურადღებას არ აკლავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ირაკლი კუჭავა**, მისი წარმატებული საქმიანობა, არც ჩვენ დაგვრჩენია უყურადღებოდ...



## ბატონი ირაკლი, გვიამბეთ მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამუშაოების შესახებ...

- აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია, ყოველი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, ზედმიწევნით ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და საჭიროებებს. კერძოდ, გასულ 2018 წელს, ორიენტირებული გახლდით ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის სოციალური მომსახურების გაუმჯობესებაზე. გზების, ხიდების, სასმელი წყლის, საბავშვო ბაღების, გაზიფიკაციების და სხვა სამუშაოების მოწყობა-რეაბილიტაციაზე. გარდა ამისა ჩავატარეთ კულტურული და სპორტული ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გარემოს დასუფთავებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

### - იქნებ უფრო კონკრეტულად მოგვანსნოთ...

- შეიძლება ითქვას, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. განხორციელდა რამოდენიმე საყურადღებო და მნიშვნელოვანი პროექტი. სოფელ ქვემო ერკეთიდან მოედანას მიმართულებით ბუკისციხის



ცენტრამდე მოხდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ზომიერების თქმში, სოფელ ვანის მიმართულებით მოქმედო ასფალტო-ბეტონის საფარი, რომლის სახელმწიფო ღირებულებამ 508 657 ლარი შეადგინა. სოფელ ხევში, ცივის უბანში დასრულდა ხიდის მოწყობის და სოფელ ხევში, ცენტრალურ უბანში მდ. გუბაზეულზე, ახალი საავტომობილო სახიდე გადასასვლელის მშენებლობა. დაბა ჩოხატაურის ცენტრალურ ქუჩებში განხორციელდა ლედ-სანათების დამონტაჟება, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პრო-



ექტების ფონდიდან დაფინანსდა. გარდა ამისა, სოფელ ფარცხმაში ჩატარდა წყალსადენის მშენებლობის სამუშაოები და სოფლის 60-მდე ოჯახს სასმელად ვარგისი წყალი მიეწოდება.

**- ამ ეტაპზე რა სამუშაოები მიმდინარეობს?**

- დღეისათვის, დასასრულს უახლოვდება ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქვენობანი-ბასილეთის საკუთმობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ბუკნარში მინი სტადიონის მოწყობა. საკუთმობილო გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ბურნათი-წიფნარის მიმართულებით. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერია სასოფლო ამბულატორიების რეაბილიტაციას ახორციელებს. 5 სოფელში - დიდვანში, გუთურში, საჭამიასერში, ჯვარცხმაში, დაბლაციხესა და ნაბედლაში რეაბილიტაცია მიმდინარეობს, ხოლო, ზემო სურებსა და კონხარში ახალი ამბულატორიები შენდება.

**- რაც შეეხება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებს...**

- ამ მიმართულებით, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად ვმართავთ მოსახლეობასთან შეხვედრებს. ვეცნობით ადგილობრივების საჭიროებებს და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე დეტალურ ინფორმაციას ვაწვდით. 2019 წელს, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა პრიორიტეტულ საკითხად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და შიდა გზების მოწესრიგება დაასახელა. სოფელ ზომლეთის მოსახლეობამ გაზიფიცირებისთვის სამუშაოების დაწყების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი. ამდღებამდე კი სტადიონის მოწყობა მოითხოვეს. ხევის და ხიდისთვის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფელ ბუქსიეთში, ბოლიეთში, წიფნავარში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ შიდა სასოფლო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა განხორციელდა. ამდღების ადმინისტრაციულ ერთეულში, - შიდა სასოფლო, ასევე სოფლის სასაფლაოებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, ხოლო სოფელ სამებაში, სასმელი წყლის მაგისტრალი მოეწყო.

**- დღევანდელი მთავრობა განსაკუთრებით ზრუნავს ბავშვებსა და მათ მომავალზე...**

- ჩვენი ხელისუფლების სტრატეგიის მიხედვით, სკოლამდელი და სასკოლო განათლება ყველა აღსაზრდელისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. შესაბამისად, ჩვენს რაიონში, ამ მიმართულებით დატვირთვა კიდევ უფრო გაიზარდა. წლის დასაწყისში, ზომლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. 25 აღსაზრდელზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და ამიერიდან, ადგილობრივ მოზარდებს აღარ მოუწევთ მეზობელ სოფლებსა და დაბის საბავშვო ბაღებში გადაადგილება. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებში გვეხმარება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახური. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 11 საჯარო სკოლას. სკოლებში მოხდა საკლასო ოთახების, სპორტული დარბაზების, სველი წერტილებისა და ფასადების კეთილმოწყობა. შუა სურებში დასრულდა ახალი სკოლის შენობა, ხოლო სოფელ გუთურის საჯარო სკოლის მშენებლობის ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული და მშენებლობა, რომლის სახელმწიფო ღირებულება 2 345 000 ლარს შეადგენს, მალე დაიწყება. გარდა ამისა, წარმატებით განხორციელდა ჩოხატაურის ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ასევე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

**- ახლანა, ჩოხატაურმა საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლა...**

- დიას, 5 ოქტომბერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახეითი ხელოვნების გალერეაში, პროფესორ იოსებ



მეგრელიძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გაიმართა, რომელსაც პროფესორის ვაჟი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს საპატიო ჟურნალისტი გუბაზ მეგრელიძე ესწრებოდა. სესიის მომხსენებლები იყვნენ, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, აკადემიკოსები, პროფესორები და მეცნიერები. ღონისძიება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. სამეცნიერო სესიის მხარდაჭერები იყვნენ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი.

**- ბატონო ირაკლი, სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ...**

- კვლავაც აქტუალური იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გზების რეაბილიტაცია, ბუნებრივი აირისა და სასმელი წყლის ქსელით ადგილობრივ მაცხოვრებელთა უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მიმანია, რომ მოსახლეობის დაცვა, მათ ჯანმრთელობასა და საარსებო პირობებზე ზრუნვა, ისევე, როგორც უმუშევრობის ზოგადი პრობლემის გადაჭრა ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა და არსებული სიტუაციის გამოსწორება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიმანია. ამიტომ, იმედი მაქვს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობით ყველა პრობლემა მოგვარდება, გამოსავალი მოიძებნება და პროექტებს ბოლომდე მივიყვანთ. ჩოხატაურში, დაბის ცენტრში, დაგეგმილია მდინარე ორპირას კალაპოტის რკინა-ბეტონის პერანგში მოქცევა და რეკრეაციული ზონის შექმნა. გეგმაშია ბაზრის მოედნის ასფალტის საფარით მოწყობის სამუშაოები, ხოლო სოფელ ზომლეთში ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა. ზოგადად, სამომავლო საქმიანობის განსახორციელებლად სასიცოცხლოდ გვესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და დახმარება. ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების შექმნა და ამოქმედება, რომელიც შესაბამისობაში მოიყვანს ჩვენს საერთო მიზნებს და ინტერესებს. რაც დადებითად წაადგება, როგორც ჩვენს მოსახლეობის, ისე ზოგადად, რაიონის და რეგიონის კეთილდღეობას.



# მუნიციპალიტეტის განვითარება ორი პირითადი მიმართულებით არის უმსაქმეობელი



მომდინარე წელს, რეგიონში არსებული გართულებული ეკონომიკური ვითარების ფონზე, საქართველოს ეკონომიკა მდგრადობას ინარჩუნებს, რასაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და სუვერენული საკრედიტო კომპანიების მიერ გამოქვეყნებული შეფასებები ადასტურებს. საერთაშორისო საკრედიტო ფონდის მისიის ვიზიტის ფარგლებში, მისმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს საქართველოში არსებული დადებითი ტენდენციები და მათ შორის მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა ჯერ კიდევ რთულ სოციალურ მდგომარეობაშია, მთავარი და იმედისმომცემი არის ის, რომ ქვეყანაში არის წინსვლა და თავისუფალი ბიზნეს-გარემო. სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს ყველა სფეროში ჩადოს პრიორიტეტების მიხედვით შესაბამისი ინვესტიციები, რათა ეს ყველაფერი კარგი საფუძველი გახდეს შემდგომი განვითარებისთვის. წინ ძალიან ბევრი გამოწვევაა და უამრავი პრობლემის მოგვარება საჭირო, რისთვისაც ყველას მუხლჩაუხრელი მუშაობა მართებს. როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე გრძელდება შიდა გზების დაგება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას და მათ თანამედროვე ინვენტარით აღჭურვას. იზრდება თვითმმართველობას, ცენტრალურ ხელისუფლებასა და ბიზნეს-სექტორებს შორის აქტიური ურთიერთთანამშრომლობა, ხოლო მოსახლეობა აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმიანობაში, რათა ქვეყანა ინვესტორებისა და ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ალექსანდრე სარიშვილი**, დარწმუნებულია, რომ ძალიან მაღე, ქვეყნის მთავრობა, პრემიერ-მინისტრის, ბატონი გიორგი გახარაის ხელმძღვანელობით, დასახულ ამოცანებს თავს გაართმევს და პირნათლად შეასრულებს ხალხისთვის მიცემულ დაპირებებს.



## - ბატონო ალექსანდრე, მოგვიყვით ლანჩხუთში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე...

- მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება წარმოადგენს და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გაერ განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვადასხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებულის მოვლა-შენახვა, დაფინანსდება ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ქალაქ ლანჩხუთში - მარჯანიშვილის, გოგიჩაიშვილის, ურუშაძის, ებრალების, მშვიდობის, გურიელის, გურიის ქუჩებზე, წმინდა ნინოს და თავისუფლების შესახვევში, ბაგრატიონის და ბარათაშვილის ჩიხში დასრულდა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა. ახალი პროექტები უკვე მზადაა, და მათი ათვისების შემდეგ, ქალაქის 55 ქუჩიდან ყველას ექნება სანიაღვრე არხი. ამავე დროს, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებსა და ნაპირსამაგრ სამუშაოებზე, 2 500 000 ლარი დაიხარჯება. პარალელურად, მრავალბინიანი სახლების გადახურვა დასრულდა ჟორდანიასა და კუპრეიშვილის ქუჩებზე.



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 748 000 ლარი გამოიყო, რაც ძირითადად სოფლებში გარე განათების სისტემის დამონტაჟებას მოხმარდა. განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც წლების განმავლობაში მისი არ არსებობა სერიოზულ პრობლემას ქმნიდა. ასევე დაგეგმილია 7 ხიდის მოწყობა ჩოჩხათის, ნიგვიზიანისა და მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში. პროექტის ღირებულება 2 000 000 ლარს შეადგენს. ყოველდღიურად ლამაზდება ქალაქის ცენტრი, მოქმეო გაზონების, დაირგო სხვადასხვა ჯიშის ყვავილები და მრავალწლიანი მცენარეები.

## - მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურულ-სპორტული მიმართულებების ფინანსურ მხარდაჭერას...

- ვფიქრობ, სასიცოცხლოდ აუცილებელია წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა შეძლონ თავიანთი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ამ მიმართულებით, ფრიად მნიშვნელოვანია გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა, სადაც, მომავალი წლის იანვრიდან 50-მდე ნიჭიერი და მოტივირებული ბავშვი იცხოვრებს და ყოველდღიურ რეჟიმში მიიღებს შესაბამის წვრთნას, იმისთვის, რომ წარმატებული ფეხბურთელი გამოვიდეს. ამისთვის აკადემიას ექნება დარბაზი, ხელონურ-საფარიანი მოედანი, განათება და ყველანაირი საჭირო ინფრასტრუქტურა. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად დაახლოებით 1 801 372 ლარი დაიხარჯება. თუ გაუთვალისწინებთ, რომ ამ რეგიონში ბავშვთა საფეხბურთო აკადემია ერთადერთია, ვფიქრობ, ფეხბურთის ფედერაციის ეს პროექტი რეგიონის წარმატებული საფეხბურთო



მომავლის ბაზისი გახდება. პარალელურად რეაბილიტაცია უტარდება ქალაქის ორ ხელოვნურსაფარიან სტადიონს. წარმატებით ფუნქციონირებს სპორტული ცენტრი, სადაც ყოველდღიურად საცურაო აუზით 60-მდე ბავშვი სარგებლობს. გასულ წელს დაიწყო საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია და პროექტის დირექტორებმა 86 000 ლარი შეადგინა. ამ სკოლის 70-მდე აღსაზრდელს საკმაოდ რთულ პირობებში უწევდათ მეცადინეობა. დღეს უკვე სკოლა გარემონტებულია და ყველა პირობაა შექმნილი მათთვის.

**- პრობლემა გაზიფიცირების საკითხი...**

- მინდა მოგახსენოთ, მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ხშირად დასმულ კითხვებს შორის არის რეგიონში გაზიფიცირების მოგვარების საკითხი. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს პრობლემა ძალიან დიდი ხანია მწყვედ დგას. შესაბამისად, პრობლემის მოგვარების პროცესში აქტიურად ვართ ჩართული. ინტენსიური მუშაობის შედეგად კონკრეტულ სამუშაოდ გვემამდე მივედით უკვე არსებობს 2019-2020 წლის გაწერილი კალენდარული გეგმა. ეკონომიკის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, ჩვენ მივიღეთ გაზიფიცირების გეგმა, რომელიც შეიძლება ითქვას კარგი შედეგია არსებულ მოცემულობაში. ამის მიხედვით ლანჩხუთის სოფლებში - ლესა, ჭინათი, აცანა, ჭალა - გაზიფიცირების სამუშაოები უკვე დასრულებულია. მარტო მამათის თემში 436 აბონენტი ელოდება პრობლემის მოგვარებას. სამუშაოები მიმდინარეობს და დეკემბრის ბოლომდე გაზიფიცირების პროგრამაში 400 აბონენტი ჩართვება სოფელ აცანაში. სამუშაოები მიმდინარეობს აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულშიც, მიმდინარე წელს ქვემო აკეთში სრულად გაზიფიცირდება 260 ოჯახი. 2020 წელს კი სამუშაოები ჭანჭათის, გაგურისა და ზემო აკეთის სოფლებში დაიწყება. მიხარია, რომ სხვა სოფლებთან ერთად 2020 წლიდან დრმაღლის, ომფარეთისა და ორმეთის მოსახლეობის გაზიფიცირების საკითხის მოგვარებასაც ამ პროექტის ფარგლებში შევძლებთ.


**- რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვას და სოციალურ უზრუნველყოფას...**

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წლისთვის 16 სოციალური დაცვის პროგრამა განხორციელდება, რომელიც სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ამ მიმართულებით 693 ათასი ლარია გამოყოფილი. პროგრამები ითვალისწინებს მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფას, ხანდაზმულები, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფას, ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების შემწეობას. დაფინანსდება მოსწავლეთა და თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირება. შესაძლებლობის ფარგლებში ვებმარებით იძულებით გადაადგილებულ პირებს, მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს. ასევე გათვალისწინებულია უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ზარჯები, ცენტრ „აიუნანას“ თანადაფინანსების და სამკურნალო-საოპერაციო ზარჯებით დახმარების პროგრამა. 521-მა ბენეფიციარმა ისარგებლა მედიკამენტების შეძენის პროგრამით. გათვალისწინებულია ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა მუქუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის და შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის ანაზღაურება. გარდა ამისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში - აკეთში, ნიგოთში, აცანასა და შუხუთში ამბულატორიების რეაბილიტაცია დასკვნით უტარდება, ხოლო სოფსაში ახალი შენობის მშენებლობა უახლოეს დღეებში დასრულდება. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც არის ამბულატორიის შენობა რეაბილიტირდება,

ხოლო სადაც არ გვაქვს - ახალი აშენდება. სულ სამისოდ, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 500 000 ლარი დაიხარჯება. სველი წერტილების სამშენებლო სამუშაოები დასრულდა სუფსის, ქალაქ ლანჩხუთის #1, ჯურუყვიის #1, ნინოშვილის, ჩიბათისა და ჩოლობარგის საჯარო სკოლებში. სოფელ ჯიხანჯირში დავამთარეთ მცირე კონტინენტური სკოლის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები. ენერგოეფექტური, ადაპტირებული შენობა 20-25 მოსწავლესა გათვლილი და თანამედროვე მოთხოვნებს სრულად შეესაბამება.

**- რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს?**

- სამომავლოდ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, რაც დიდ ზეგავლენას იქონიებს მუნიციპალიტეტის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. მომავალი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტი კვლავაც საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა იქნება. 2020 წელს მუნიციპალიტეტში 3 ახალი საბაგეშო ბაღი აშენდება. დაგეგმილია ქალაქში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაცია, საფეხბურთო აკადემიის მოედნის განათების და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, სოფელ გრიგოლეთში პალიასტომის ტბაზე შესასვლელის მოწყობა, ყვავილნარის გზის რეაბილიტაცია, შიდა გზების მოწყობა, ორაგვის ტურიზმის ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობა, კურორტ გრიგოლეთში შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობა და ა.შ. ჯამში 9 822 000 ლარი დაიხარჯება. მაქსიმალურად ვეცდებით მოიხილოთ ინვესტორები, ყურადღება მიექცევა სოციალურ პროექტებს, უყურადღებოდ არ დავტოვებთ, არც ერთი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი. აქტიური იქნება ტურიზმის მიმართულება. აღსანიშნავია, რომ ახლახან პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“, ფარგლებში ვენატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში გურიული ყოფი-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული კუთხები მოაწყო. პროექტის მიზანია გურიის პოტენციალის გამოკვლევა, შეფასება, მოქალაქეთა მცირემასშტაბიანი აქტივობების მხარდაჭერა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სამოქმედო გეგმების შემუშავება გახლდათ. შეგახსენებთ, რომ გურიულს დაახლოებით 60 ჯიშის ვაზი მოგვეპოვება, მათგან ბევრი გადამწეულია, მაგრამ 44 ნაპოვია. სწორედ მათ გაშენებას ვფიქრობთ ვენატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში, სადაც ადგილზევე მოხდება ამ ვაზის დაკრეფა, დაწურვა, დაყენება. ჩატარდება მასტერკლასები, მოწვეული იქნებიან სპეციალისტები, პოპულარიზაციას გაუკეთებთ გურიულ ყურძენს. - ჯანს, საკმიელას, ტყვანდილს, მწყერისფებსა, ჩხავერს. ზოგადად, ვფიქრობ, რომ მუნიციპალიტეტის განვითარება ორი ძირითადი მიმართულებით - ტურიზმით და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერით არის შესაძლებელი და მათი შერწყმა, საერთოდ იდეალური ვარიანტი იქნება ჩვენისთანა პატარა რაიონისთვის.



# შპს ხიდგშენი-99





მისამართი:  
საქართველო, ქ.მცხეთა.  
დავით აღმაშენებლის ქ. №22

# გოგაბრეგვაძე

ჭიბთუბრა, აბაშიძის 18  
ტელ.: 598251214

E-mail: gagabregvadze@yahoo.com





**შსოპკაბა ზედევეთი სეკანი პეკევე**

**ფანაღინ თეკეოიფოღეაჟინე**